№ 26 (262) კვირა, 13 ივლისი 1930
ფასი 10 კაპ.

Академия наук ГССР
Библиотека-Музей имени Акад. И. Гришашвили
19567

ძველი და ახალი

—უი ქა! მე რომ ბრაზიანი ძაღლი დამეტაკოს, ღობეს ვერ გადავახტები და მაგ კი რავა ჯადოქარივით მიფრინავს!..

„თავისუფლებისათვის“ მებრძოლი

ონისიმე ყოფილი პარტიულია. პარტია მას ითვლიდა თავის რიგებში, ითვლიდა სანამ შეიძლებოდა პარტიაში მისი მოთმენა არა ერთხელ ყოფილა დასმული საკითხი მისი პარტიიდან გამორიცხვის შესახებ. არა ერთხელ მიუციათ მისთვის გაფრთხილება და წინადადება, რათა მას ხელი აეღო ფრაქციულ მუშაობაზე, მაგრამ ონისიმე ყურადღებასაც არ აქცევდა საკონტროლო კომისიიდან მიღებულ გაფრთხილებებს.

— როგორ, უფლება არა მაქვს მე, ძველ რევოლიუციონერს ვიმოქმედო თავისუფლათ? მაშ რისთვის მიბრძოლია? ვის შეუძლია თავისუფლება შემიზღუდოს?

მინდა მემარჯვენე ვიქნები, მინდა მემარცხენე! ამბობდა ონისიმე და განაგრძობდა მემარჯვენე ოპოზიციაში მუშაობას.

— გაიგე ამხანაგო ონისიმე, რომ მსოფლიო ბურჟუაზიასთან ბრძოლაში ჩვენი პარტიის გამარჯვება შეიძლება მხოლოდ პროლეტარული სიმტკიცისა და მთლიანობის შენარჩუნებით. გაიგე, რომ საბჭოთა კავშირისა და ჩვენი პარტიის წინააღმდეგ ამხედრებულია მსოფლიო ბურჟუაზია,—შინაურ და გარეშე მტრებს არ სძინავთ და ლამობენ გულში ჩაგვცენ მახვილი. მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპოზიციები კი ასუსტებენ ჩვენს მუშაობას და ხელს უწყობენ მტრებს ჩვენთან ბრძოლაში...

ეუბნებოდენ მას საკონტროლო კომისიაში და უკანასკნელი გაფრთხილება მისცენ მას... ონისიმე არც ისე შეუგნებელია, რომ ვერ მიმხვდარიყო თავის დანაშაულს, მან იცოდა რომ მისი მუშაობა საზიანო იყო პარტიისათვის, მაგრამ ის ვერ ითმენდა, როცა მას ნატაციებს უკითხავდენ, და წესიერებისაკენ მოუწოდებდენ... ის ხომ ძველი რევოლიუციონერია... ის ხომ წინად თავისუფლებისათვის იბრძოდა. სხვას უნდა ასწავლიდეს ჭკუას, მას კი სხვები ასწავლიან, ის ვერ შერიგებია იმ აზრსაც, რომ მას დღეს ხელმძღვანელობას არ ანდობენ...

— მაშ, ასე, შენი წარსული ისტორიისათვის მიგვინდვია, — უკანასკნელათ უთხრეს მას,—დღევანდელი შენი მუშაობა კი პარტიისათვის საზიანოა და მიუღებელი“.

და ონისიმე საკანტროლო კომისიის დადგენილებით ანტიპარტიულ მუშაობისათვის პარტიიდან იქნა გამორიცხული...

თუ წინად ონისიმე ვერ წარმოიდგენდა მის არსებობას პარტიის გარეშე, დღეს ის ამ მდგომარეობას შერიგებოდა, და კმაყოფილიც იყო, რომ საკანტროლო კომისიაში აღარ იბარებდენ და „ნატაციებს“ აღარ უკითხავდენ. იყო თავისთვის მყუდრო ოჯახში და იგონებდა წარსულს, როცა „თავისუფლებისათვის ბრძოლით“ იყო გატაცებული.

„თავისუფლებისათვის“ მებრძოლი წარსულში დღეს ვერ შერიგებია პროლეტარულ პარტიის დისციპლინას და განზე გამდგარა.

პარტია არ ნანობს მის დაკარგვას.

ᲣᲛᲑᲐᲠᲐ.

გზის გაწმენდა

მუშა (მემარჯვენეს და „მემარცხენეს“):—თქვენ მართლაც ასეთი მარჯვნივ და მარცხნივ გადახრა მოგიხდებათ, რომ წინსვლა არ შემიფერხოთ!

ჩემი აღსასრული

(გაგრძელება. იხ. „ლ. ოტაროზი"-ს წინა ნომერი)

აღარაფრის განძრევის უნარი არა მაქვს, თვალებ დახუჭული ვარ, მარა ყველაფერს ვხედავ, მესმის და ვგრძნობ!

აგერ მოხრიგინდა „ხაჩქარო დახმარების" ეტლი. კითხულობენ ჩემ ბინას. გამოიშალა ხალხი მეზობელ სახლების აივნებზე.

ავადმყოფი ოჯახის წევრები, მიიწევიან სახლში, მარა ეხლა მე მირჩევნია ისინი თან თუ გამომყვებიან და არა საავადმყოფოში წავლენ მოსარჩენად.

თითონ მე არ მიყვარდა ავადმყოფის ნახვა და ამიტომ არ მიკვირდა, რომ ჩემთანაც არავინ მოდიოდა. მაგრამ მე არც მიცვალებულის ნახვის მოყვარული ვიყავი, ეს ხალხი კი რა სიამოვნებას პოულობს ნეტა, რომ მოაწყდა ჩემი ცხედარის სანახავათ? განსაკუთრებით კი ქალები მოდიან უმეტესობა. ცოცხალს ნაკლები გასავალი მქონდა მათ შორის,—ეხლა რა ჯანდაბათ მესაჭიროება მათი ყურადღება? მარა, ვატყობ, რომ ისინი ერთმეორესთან შესახვედრათ და საკირდავათ უფრო იყრიან თავს, ვიდრე ჩემ სანახავათ.

უკანასკნელ დროს ყურები მქონდა დაგუბული და კარგათ აღარ მეყურებოდა,—ეხლა ი მთლად სმენათ ვარ გადაქცეული და შორიდან ჩურჩულიც არ გამომეპარება.

კარგათ მესმის, მაგალითად, აი ის დაბალ-დაბალი, ხმელ - ხმელი ქალი რომ ეჩურჩულება თავის გვერდში მდგომ მაღალ და სქელ ქალს,—თითქოს მე მას ვეკვიატებოდი და მოსვენებას არ ვაძლევდი, მარა უნაყოფოთ, რა თქმა უნდა.

დახეთ ერთი ამ ტუტიფარს!

მქონია შემთხვევა ავკვიატებოდე ვინმეს და დიდი დროც დამეკარგოს უნაყოფოდ, მარა მაგასთან ხომ არც აკვიატება დამშერებია და არც დიდი დროს დაკარგვა!

ეგერ აივანზე დგას რამდენიმე კაცი და საგმირო საქმე ჩაუდენია ჩემთან ერთად ცხრაას ნ-ოი, და ნ-თის შემდეგაც. მაგრამ მე ვარკვევდი მახსოვს, რომ არცერთ ამ საგმირო საქმეებში მონაწილეობა არ მიმაღია და არც ვყოფილვარ იმ ადგილებში იმ ხანათ, რომლებსაც ისინი ახახელებენ.

მეორე ადგილას დგას უფრო ახალგაზრდების ჯგუფი და იგონებენ ჩვიდმეტიდან ოცდა ერთ წლამდე მენშევიკების საწინააღმდეგო მუშაობას ჩემთან ერთად.

მაგონდება მხოლოდ ერთი მათგანი, რომელიც მართლაც მუშაობდა ჩემთან, მარა ერთი ორათ მახდევინებდა ხელფასს.

არ ვიცი, რა სურთ ამითი,—ჩემი ქება, თუ თავიანთი თავის გამოჩენა.

ახლა არ იკითხავთ, რა ამბავი ასტყდა გაზეთებში?



თურმე მე ვყოფილვარ, რაც ვყოფილვარ, მარა თავისთავის დაფასება არ მცოდნია!

მეჩოთირება მხოლოდ ერთი რამ: მე თუ არ ვიცოდი ჩემი თავის ფასი,—ამათ ხომ სცოდნიათ და რატომ არ მაფასებდენ ეს დალოცვილები ღირსეულად აქამდე?

მოაღწია გახვენების დრომ და დაიწყო სიტყვების წარმოთქმა, მარა რა სიტყვების! მკვდარი ვიყავი, თორემ მე თითონ წამომცვიოდა ცრემლები თვალებიდან!

განსაკუთრებით აღტაცებაში მომიყვანა ახალგაზრდობის წარმომადგენელის სიტყვამ, რომელიც მათი სახელით მეფიცებოდა, რომ თავგანწირვით განაგრძობდენ იმ საქმეს, რომლისაც მე ვემსახურებოდი მთელ ჩემ სიცოცხლეში, და მისი სრული განხორციელებისას ჩამომძახებენ საფლავში ამ სასიხარულო ცნობას,

გამოსვენებისას კუბო მაღლა ეკირათ ხელში ჩემ ძველ მეგობრებს. მათ შორის იყო ერთი, რომელსაც ხუმრობით ვექადდი, რომ მის კუბოს მე ავწევდი პირველად, ის კი მე მექადდა ამნაირათვე. ნაძლევის მოგება გულში ძალიან უხაროდა, მარა სახე მაინც დაღვრემილი ჰქონდა შემთხვევის შესაფერად.

[illegible]თში გადამავიწყდა, რომ მიცვალებული ვიყავი და ღიმილი მომადგა სახეზე. ამავე დროს გადავავლე თვალი დამსწრეთა კრებულს და ნასიამოვნები დავრჩი, რადგან კარგა ბლომად მოეყარა ხალხს თავი.

სანამ კუბო ხელებით აწეული მიჰქონდათ, მეც ძალიან თავმომწონეთ მივდიოდი მარა როდესაც კუბო დაბლა დაუშვეს და პლეხანოვის გამზირზე გადასვლის შემდეგ ეტლზე დაუდეს,— ჩემმა თავმომწონეობამაც დაბლა დაიწია.



ამან ზედ დაერთო კიდევ ის, რომ გამცილებლებმა ცაზე დაიწყეს ცქერა, სადაც გამოჩნდნენ ფავი ღრუბლები და ერთი წვეთი წვიმა ცხვირზედაც დამეცა,

თუმცა დაბლა ვიყავი და გამყოლებზე თვალის გადავლება აღარ მეხერხებოდა, მარა ცხადათ ვამჩნევდი, რომ მათი რიცხვი საგრძნობლად მცირდებოდა.

ჩერკეზიშვილის ჭუჩაზე გასვლისას დაუშვა წვიმამ და სიტყვამ, ამ მეჩხერ რიგებადანაც გაიფანტა ხალხი და მხოლოდ რამდენიმე ათეული ჩემი ძველი მეგობრები დარჩენ კუბოსთან, იქვე სახელდახელო თათბირზე გადაწყვიტეს, რომ რკინის გზის ბოგის ქვეშ შეეყუდრებიათ თავი წვიმისა და სეტყვის გადალებამდე.

მაგრამ, როდესაც მივაღწიეთ ბოგირთან, აღმოჩნდა, რომ ადგილი უკვე დაეკავებია მეორე მიცვალებულს და მის გამყოლთ, რამელთა რიცხვი ბევრათ აღემატებოდა ჩემს გამცილებლებისას.

ეს მიცვალებული აღმოჩნდა ჩემსავით პასუხისმგებელ მუშაკის მეორე ახალგაზრდა ცოლი, რომლის მიმართ არ ვიყავი კარგ გ[illegible]ებილებაში, ვინაიდან მეტ პატივს ვცემდი მის გაყრილ პირველ ცოლს, ვიდრე ამ ფერუმარულით შეფიფქულ დედოფალს.

უნდა გეცნაბათ, რა დამცინავი ღიმილით გადმომხედა ყვავილების ძნაში გახვეულმა დედოფალმა და თვალების ბნედით მანიშნა ის განსხვავება, რომელიც ცხადათ ემჩნეოდა ჩემსა და მის ამალას.

აქ ჩემ ათეულ მხლებლებსაც ჩამოშორდა რამდენიმე კაცი და შეურთდა მის ამალას.

ისედაც გაფუჭებულ ჩემ გუნებას ეხლა აკლდა რაღა!

სასაფლაოზე უკანასკნელი სიტყვის წარმოთქმა შეხვდა იმ ამბანავს, რომელთანაც ავრეთვე დაქადებული ვიყავი, რომ მის საფლავზე მე წარმოვთქვამდი ბრწყინვალე სიტყვას.

ის ლაპარაკობდა უხასიათოდ, მარა ეს არც გასაკვირი იყო: მიუხედავად დაქადებისა, ალბათ, ვერც მე ვილაპარაკებდი უფრო აღტაცებით ასეთ პირობებში, რომ წილად მხვედროდა მის საფლავზე სიტყვის წარმოთქმა .

მას სიტყვა არც კი ჰქონდა დამთავრებული, რომ მხლებლებმა პირი იბრუნეს წასასვლელად, რადგან წვიმა არ აპირებდა გადაღებას.

მესაფლავეებმა ჩქარებით დაიწყეს სამარეში მიწის ჩამოყრა. უკვე შეგინდდა, მიიხედ-მოიხედეს, და რომ ვეღარავინ დაინახეს გამცილებელთაგანი, მოანიბეს თავი მუშაობას და გაეშურენ კარავში შესაყუდრებლად.

უიცრად სიჩუმის ჩამოვარღნამ დიდი ცნობისმოყვარეობა გამოიწვია ჩემში.

სიჩქარის გამო კუბოს თავი მაგრათ არ დაეკეთათ. ნელნელა ავსწიე, ავდექი, ამოვფოფხდი სამარიდან და გავიფერთხე სამოსელი.

ოღლიაში გრაფუნინაკი მქონდა ჩადებული, ჩამოვდემოდა, და როდესაც ის ამოიღო ჩემმა ცოლმა, გამომეღვიძა.

სიცხე ოცდა ცხრამეტი და ხუთი მეათედ მქონდა...

ს. ო—ია.

ქარიშხლის წინ

უკანასკნელ ხანებში საფრანგეთში ძალიან გაბ-ზირდა მუშათა მასიური გაფიცვები.



პოლიციმენი:—საკვირველია! ამათი უფრო მეშინია, ვიდრე ჩემი ბატონების!

სიმპატიური ადამიანი (თავისუფალი თარგმანი)

მე რომ სიმპატიური ქალი ვარ, ამას აღიარებს ყველა: ნაცნობი თუ უცნობი.

მოხუცი ქალები რჩევას მკითხანვენ მე ექიმებისა და რეცეპტების შესახებ, ახალგაზრდები მიმხელენ მე თავიანთ საიდუმლოებას და სტირიან ჩემს მკერდზე. მე ვერ დავიკვეხნი განსაკუთრებულ ჭკუასა დაგამოცდილებას, ხასიათი მაქვს ანჩხლი, ხშირად ვნერვიულობ, ყოველგვარ ცნობას მოსმენის უმალვე გავამხელ ხოლმე და მკერდიც ხმელი და ძვლიანი მაქვს.

მე არ ვიცი, თუ რაში იმალება ჩემი სიმპატიურობა, მხოლოდ როცა კი თეატრში მივდივარ და ანტრაკტების დროს ფოიეში დავიწყებ გავლა—გამოვლას, თითქმის წამდაუწუმ მაჩერებენ და მეკითხებიან:

—„მითხარით, გეთაყვათ, სად არის ბელეტაჟი?" —„საით არის მამაკაცების საპირფარეშო"? —„რა წარმოდგენა იქნება, თქვენ გეცოდინებათ— ხვალ"? —„რა ფასებია ბუფეტში? და სხვა და სხვა.

სიმპატიურ ადამიანად ყოფნა, ვგრძნობ, რომ დიდათ სამძიმოა. ვერ მივხვედრილვარ კი, თუ საიდან წარმოსდგება ჩემი სიმპატიურობა და ვწყევლი ჩემს ბედს, რადგან ამის გამო მიხდება გვიან დაწოლა, ძილის მოკლება, სამსახურში დაგვიანება, თავისი საკუთარი საწოლისა თუ სხვა რამ აუცილებელის სხვებისთვის დათმობა დასხვა.

ჩემი სიმპატიურობა ისევ ჩემი სახის სილამაზის ბრალი არის.

მე გამოვედი ხოროდან, მართალია, შევედი სახლში, მაგრამ დიდხანს აქ აღარ შემიცდია და გავსწიე პირდაპირ ქსოვილთა სინდიკატში საჭირო მატერიის საყიდლად.

მე მოვაჭრევინე საჭირო საქონელი და აი, უკვე დავიძარი სალაროსაკენ ფულის გადასახადათ, რომ დახლთან მოვიდა კაცი ტყავის ტყაპუჭით და არა ნოქარს, არამედ მომმართავს პირდაპირ მე კითხვით: „რამდენი მეტრი მატერია მოუნდება ცოლს ტანისამოსისათვის"?

მეც ვეუბნები და მივდივარ სწრაფად სალაროსაკენ, ვდგები რიგში და უცდი თავის ხვედრს, რომ მომესმის იმავე ტყაპუჭიანის ხრინწიანობამდის გაჭირვებული ხმა: „ღვთის გულისათვის, მოქალაქე მანდილოსანო, დაბრუნდით ერთის წამით და მირჩიეთ ეს საკაბე თუ გამოდგება ჩემი 70 წლის მოხუცებული დედისათვის"?

ვბრუნდები...

ჯერ მოედანსაც კი არ მივახლოებივარ, რომ მომესმა განიდან:

„მაპატიეთ, ბოდიშს გიხდით, თქვენ ხომ იმ მხარეს არ გინდათ გადასვლა?

და ამ სიტყვებთან ერთად, ვისიღაც ძვალ—ტყავად ქცეული ხელი ფათურით ეხება ჩემს მხრებს, მეჭდება საყელოზე და განაგრძობს:

„გთხოვთ, გადამიყვანოთ მეც ქუჩის მეორე მხარეს"...

ვუმზერ და ვშეშდები: ჩემს კისერს ეპოტინება უცნობი ბრმა მამაკაცი.

ახლა უკვე აღარაფერი აღარ მესმის, თუ რაა ჩემი სიმპატიურობის მიზეზი.

მაშასადამე—აღარც პირისახე!..

ჰაზირა

ზამთარი მოვა

(კრილოვისებური)

ზაფხული ისე გავიდა—
ხტოდა ჭრიჭინა პატარა.
უშრომო—უზრუნველყოფით
მთელი ზაფხული ატარა.

გავიდა ცხელი ზაფხული
და შემოდგომა გრილია.
ზამთარი კარზე მოადგა,—
ჭრიჭინა მოწყენილია.

დათოვა ტყე და მინდორი,
თოვლშია მთა და ბარია.
ყინვები დადგა სასტიკი,
უბერავს ცივი ქარია.

ვეღარ ხტის ჩვენი ჭრიჭინა,

ყინვამ მოკაკვა წელშია...
ვეღარ ხტის უწინდებურად
ჭრიჭინა მინდორ—ველშია.
წინედ, ზაფხულში მხიარულს,—
მას ეხლა არ უხარია.
ან რა დროს სიხარულია?
ცივი აქვს მას ბუხარია.

სხვა რაღა ექნა?! მიმართა
მან ნაცნობ ჭიანჭველასა:
„ვკვდები სიცივით ძმობილო,
შენგან მოველი შველესა...
მიშველეთ მტერმა, მოყვარემ,
მიშველეთ ერთად ყველამა“
„რას აკეთებდი ზაფხულზე?
ჰკითხა მას ჭიანჭველამა.

„რას ვაკეთებდი?ვლიხობდი;
დრო გავატარე ტკბილათო.“
—ეხლაც იხტუნე! რად გინდა
ზამთარში იყო თბილათო!

დასრულდა ესე იგავი
პატარა, მაგრამ დიდია.
ჭკვიანნი შეშის საყიდლად
ტყის ტრესტში ეხლა მიდიან.

ისელი

ცოლი:—ჩვენსავით გაუყინდეს გვერდები თქვენს ადმინისტრაციას, თუ შეშა თავის დროზე შეეძინა და ამ ზამთარში უშეშოდ არ დავეტოვებინეთ შარშანდებურად!

ბაღდასარა და ავთანდილი

ავთანდილი: — ჩემო ბაღდასარ, ამ სამ წელში, რაც რომ შენ არ მინახივხარ, ძალიან კამოცვლილხარ. უსათუოდ უნდა საგარაკოთ სადმე წახვიდე.

ბაღდასარა: — კნიაზჯან, არც შენ დაგდგომია კარგი დღე, როცა რომ თარიღს უსუფ. განა ისეთ დროს მოვესწარით, რომ ჩვენ დაჩათ წავიდეთ? დაჩაზე იხლა მიდიან დეკორნიკები, მეკურტნე მუშები, მეჭისეები და სხვა ამნაირი ახალ მოდის კეთილ მობილები.

ავთანდილი: — ბრალი ჩემი, რომ ქეციანი ძაღლივით უსახლკარო დამანარჩუნეს, თორემ შენი სახლი ხომ ნამდვილი სამოთხეა.

ბაღდასარა: — რომელი სახლი! რა სახლი! რა შენი დედინაცვალის მოთაქებს ჭეკამ? ჩემი სახლის ადრესი და ნუმერიც კი დამავიწყდა.

ავთანდილი: — როგორც გატყობ შენთვის სახლი ჩამოურთმევიათ?

ბაღდასარა: — ჩამოურთმევიათ? არა მამა უცხონდებათ ბლუდზე დავდე და ისე მივართვი. ისე ეშტერნათ გამომისტუმრეს, რომ კედლებსაც ველად მოვასწარი შეცქერა.

ავთანდილი— მაშ ეხლა სადა გაქვს ბინა?

ბაღდასარა: — ტო ესტ სადა ვცხოვრობ? ჯერჯერობით „ორიანტის" გასტინიცაში მომცეს სამი ოთახი თავის ვანით და შუშაბანდიან კარიდორით. მითხრეს, კოლა ბახტაძე რომ დაამთავრებს დიდ შენობის აგებას დვარეცის ბაღში. იქ ერთ ხუთ-ექვს ოთახს მოგცემთო. მაშ ჩემისთანა პატიოსან კაცს, ბიგში პირვი გილდი კუპეცს, საეცკი ვლასტი უყურადღებოთ დასტოვებს? ვაი, თავი მოგიკვდეს, ბაღდასარ! ეგ რა ჰექითეს ბოდამ. ჩემთვის ვისა სცხელა. ისეთ ხახვრეტებიან ოთახში გადამაგდეს, რომ იქ მატანტალა ძაღლსაც კი სურდო შაეყრება. კრუგომ სკვაზნი მიბერავს.

ავთანდილი: — შენ ეშმაკი კაცი ხარ, ალბად კავშირის წევრი გახდებოდი და კარგი თანამდებობაც გეკავება!

ბაღდასარე: — აბა, კნიაზჯან, როგორ გეკადრება მაგნაირი სიტყვები. არ იცი, რომ ადგილი კარგი მეჭნება? კარგი ჯამაგირი და ადგილი საქმე. ვზივარ და დეკრეტებს ხელს ვაწერ.

ავთანდილი: — ჩემო ბაღდასარ, შენ მასხრობ და მე კი სერიოზულათ გელაპარაკები.

ბაღდასარა: — კნიაზ ავთანდილ, მე კი არა ვმასხრობ, შენ გამხდარხარ პატარა ბავშა. ამ უდარნიკების, ვიდვიეენცების, რაბკორების კომკომოლების და ჩისტკის ხანაში. მე ვინ მომაშავებს სოიუზნი კნიშკას და სამსახურს? ამ ბალშევიკებმა განა ისე მოაწყეს თავიანთი საქმე? ტო, ყურუმსაღ, არხანგელეკი გუბერნიაშიც რომ წახვიდე, იქაც გაიგებენ შენს ბიოგრაფიას.

ავთანდილი:—ბაღდასარ, მა რითა სცხოვრობ? შვილი შენ არ დეგეხმარება და შენი ძმა-ბიჭები კი შენზე უარეს დღეში არიან.

ბაღდასარა: — სურბ-სარქისის მადლმა აურიოს ბალშევიკების საქმე, როგორც მე ამეწეწა ოჯახი. შვილი გამოვზარდე ისე, რომ ციცი ნიაკი არ ბომიხვედრებია. ეს დეტსკი სადიო, ეს პანსიონიო, ეს გემნაზიაო. პირიდან ლუკმას ვიღებდი და იმას ვაყლაპებდი. ვფიქრობდი, კაცი გამოვა და სიბერეში გამახარებს მეთქი. ეი, მახარეს კიდეც! ახლო არ მიკარებს. შენ ჩუდი ელემენტი ხარო. სად არის სამართალი? მე იმისთვის ჩუდი ვარ და ქალაქში ჩამოთრეულა რაზნი ხალხი კი იმისთვის რადნოები არიან?

მეც იმის გასაჯავრებლად ჯიბით არაყს ვყიდი, კანტრაბანდათ ცხვარსა ვკლავ და ხორცსა ვყიდი მალვით. დაე, ციხეში ჩამაგდონ, რომ მაგ უსინდისო ლაწირაკსაც სახელი გაუტყდეს.

ავთანდილი: — მაშ ჩემსავით არაფრის იმედი აღარა გაქვს?

ბაღდასარა: — უიმედოთ შენი მტერიც არ დარჩეს. პირველ ხანებში ჯერ მენშევიკებს ველოდი, რაღაცა ღმერთი გაუწყრათ და არ ჩამოვიდნენ. მერე ომის ლაპარაკებმა გამიტაცა. ესეც გაბიოურდა. ომის შემდეგ ტროკცის იმედი მქონდა, — მეგონა მათი ხხუბი ჩვენ წისქვილს დაატრიალებს მეთქი. აქაც ისეთი შტუკა მოახნიდეს, რომ ტროკცის სახელი ორი გროში გახადეს. დღეს საბჭოთა კავშირში კომკომოლს ტროკცეზე მეტი ფასი აქვს...

ავთანდილი: — მაშ ბალშევიკებმა სულ გაგიცრუეს იმედები რაღა?!

ბაღდასარა: — კიდევ ერთი ფრონტის იმედი მაქვს. ეს ფრონტი თუ სრულიათ არ გამოასწორებს ჩვენ საქმეს, პატარა დახმარებას მაინც მოგვცემს. ბუხარინს და რიკოვს მოუთხოვნიათ ასტაროენი პოლიტიკა, რომ არც კულაკი შეაწუხონ სოფელში და არც ვაჭარი ქალაქში. ამ ახალ პოლიტიკას დაარქვეს პრავი უკლონი. ძალიან სასიხარულო საქმეა. თუ რომ ბალშევიკები უკლონზე დადგნენ, მაშინ ადვილი იქნება იმათი ჩამოცურება ახალ გზაზე. ჩვენც ადვილათ ამოვისუნთქავთ.

ავთანდილი: — ბაღდასარჯან, როგორც მესმის შენ გაზეთებს არა კითხულობ, გუშინ „მუშა"-ში წაიკითხე მეთექვმეტე პარტიულ ყრილობაზე ისეთი რეზოლიუცია მიუღიათ, რომ მემარჯვენეს ზურგზე ბოლი ასვლიათ. ბაღდასარჯან, ჩვენი წირვა უკვე გამოსულია. ამას უნდა ანგარიში გაუწიოთ.

ბაღდასარა: — ჩემი კომკომოლი შვილი ტყვილათ კი ერ მეუბნება, რომ ჩემისთანა ბავში ხალხი დღეანდელ თარიღში გამოდგება მხოლოდ როგორც უტილსირიო. უტილსირიოები გავმხდარვართ, ჩემო ავთანდილ. ჩვენ ვეღარც პრავი უკლონი გვიშველის და ვეღარც ლევი.

ვინმე.

ამაო ცდა

მემარჯვენე:—მოიხედე! იქითკენ რა გინდა?!
ბლეხი:—ხელი უშვი ჩოხის ფალთებს, თორემ მე ვი-ცი შენი...

ღ ი ღ ი ნ ი

სად. (ᲪᲢᲐᲜᲔᲑᲘ

ზამთარია, სითბო გინდა,
ბუხარი კი არ გაქვს შენა,
საცივე, რომ გაგამწარებს
უნდა იწყო კვნესა, ქშენა.
და ამ დროს კი დიდ საწყობში
ხედავ ნახშირს მთელ გორასო.
რა ვუყო, რომ „წამაისქნავ“
რაღაც ვედროს გინდ ორასსო.

—:—

ეს ქვეყანა დუმა არის,
იმას მოსთლის კარგი მთელელი.
ვსთქვათ, რომ სახლში ნავთი „ფინიშ“
და არა გაქვს არც სანთელი,
სიბნელეში ᲩᲝᲤᲜᲐ ხომ კი,
საქმე არის ერთობ რთული.
ჩიხისკენ თუ გაიხედავთ,
ცისტერნაა დატვირთული.
რა ვუყოთ, რომ ეპოს არის,
თვით ეპო ხომ ჩვენიაო,
დაბნევა კი რას მიქვიან,
ან და რისთვის „გრცხვენიაო“.
ადი მაღლა, დაჰკა კლაპანს,
ნავთიც იწყებს დენასაო,
(აქ სიჩუმე საჭიროა
კბილს დავაჭირ ენასაო).
ჰქაჩე ნავთი ღამით სახლში,
თავზე თუ გაქვს წითლად ქუდი.
ეს ცხოვრების რეცეპტია,
არ გეგონოს საქმე. მრუდი.

—:—

ეგებ სადგურს უყენია—
ღვინო მთელი დატვირთული.
აქ კი გმართებს დაფიქრება,
საქმე არის ერთობ რთული.
მოვა შენთან გამგზავნელი,
და გთხოვს საქმის შველასაო.
მოეფერე ღვინის პატრონს,
მოუხშირე ხველასაო.
გამოუტყდი და უთხარი,
(ნუ იქნები კვლავ სათუთი):
—გაგზავნისთვის საჭიროა,
„ჩეთვერები“ ბარე ხუთი.

—:—

ნავთიც ქე გაქვს და ნახშირიც,
თბილ ოთახში წრუპე ნელა,
ხასანბეგურ რაშო რეროს,
მაყოლე დელი-დელა.

გამვლელი.

ᲮᲘᲖᲐᲑᲐᲕᲠᲔᲚᲘᲡ ᲩᲘᲕᲘᲚᲘ

(ახალქალაქის მაზრა)

მო, ტარტაროზო, ჩამოვჯექ,
მსურს აგიწერო სურათი.
კოპერატივში დამსხდარან
აქ ძმა-ბიჭები სულ ათი.
საბჭოს წევრს ბალიაშვილსაც
ტყიდან მოჰყავდა ცხენია;
ისიც რომ შეძვრა იმათთან,
მაკვირს რათ არა სცხვენია.
დაიწყეს კოხტათ „მეჯლისი“
ჭიქა ჭიქაზე იშლება,
და ცარიელი კვარტები
სავსე კვარტებზე იცვლება.
შეაქეიფეს ნოქარიც,
აგერ ხელებიც გაშალა,
თითქოს ფულებიც მიეღოს,
მაშინვე „ᲨᲘᲗᲝᲗᲘ“ წაშალა.
ბევრი რამ ხდება ჩვენს სოფლად
ახალქალაქის ოლქშია,
მაკვირს თემსაბჭოს რად ძინავს,
რაო არ ატარებს ოქმშია?

ᲪᲠᲐᲕᲔᲚᲐ.

ᲐᲭᲐᲠᲣᲚᲘ ᲡᲪᲔᲜᲐ

მეჩქე ილბალი მქონებია, რომ გადავრჩი დ: ცოცხალი ვარ ინსანი.

წავედი ჭოვ, მთაში. მუდამ ვმუშაობდი დარში და ავდარში. მიმჩნია სიცხე, ბევრი წამალი ვიცხე, არაფერმა მიშველა, მომეცა ხველა, წამოვედი შინ, ჭოვ, და დავწევი ლოგინში.

გიმეჭირდა ლაპარაკი, ჩემი ბაბაი იყო ძველი კაცი, წევიდა და მეიყვანა ხუსეინ ეფენდი. შეიხვეწა, ჭოვ, შვილი მომირჩინეო.

—

ხუსეინ ეფენდი დაჯდა ჩემთან, დაახველა მაგრად და სთქვა: — შოფელი ვარ, რომ მორჩესო, ამას ხავსშით ჩამძვრალა შეითანი და ამას უნდა ნუსხა და სხვანაირი წამლოობაო.

— ფაშა ეფენდი მიშველე და ფარას მოგართმეო.

—

ხუსეინ ეფენდიმ დასწერა ნუსხა, გალესა წყალში, ჩამისხა პირში და წავიდა ქვევეთ. ამუვასხი ზევით და ვეყვირე — ნუ დამახრჩობთ მეთქი.

— ჰაა, შეითანა შეწუხდაო.

კისრის ტკივილმა იმატა, მიტრიალებდა თავთან გახურებულ რკინას, მარა არ მოვრჩი.

—

მევიდა, ჭოვ, ჩემი აფხანაკი, მეიყვანა ექიმი, ექიმმა ჩამხედა კისერში და თქვა ამას წიტი აქ და უნდა გეიჭრასო. შეითანი გაჭრით რუა მოიოებაო, ყვიროდა ხუსეინი, მე იმას ნუსხით გავაქცევო, შენ კი ამ კაცის ოჯახს დააქცევო. ექიმა დამაღებია პირი, გაჭრა წიტი, გამომარეცხია წყლით პირი, და დავიწყე ლაპარაკი.

ალთი შუქურ მოვრჩი ჭოვ. კი მქონებია ᲧᲘᲡᲛᲔᲗᲘ, ხშირად ტყუვდება უსწავლელი მილეთი.

— სადაა ეხლა შენი შეითანი.

— მიაძ ᲮᲐ ექიმმა ხუსეინს, მარა ხუსეინი გეიპარა, ჭოვ, და ოცდახუთი ლირაც ტყუილად წეიღო.

—

ᲑᲣᲯᲒᲛᲣᲢᲘ.

ᲖᲝᲒᲘ ᲠᲐᲛ (ᲒᲐᲗᲝᲛᲘ)

გათავდა თუ არა მასწავლებელთა რაიონული კონფერენცია, ხულოდან პირდაპირ ტფილისისაკენ ვქენი პირი.

— ბენ დოღრი სოლილიერუმ, ეს შეორე კონფერენცია შედარებით ცოცხალი იყო. თვით სამდივნო ამუშავებდა რეზოლიუციის მოსმენილ მოხსენებების შესახებ, და არა თვით მომხსენებლები თავიანთი მოხსენებების შესახებ, როგორც ეს პირველ კონფერენციაზე ხდებოდა.

—

წელს ხულოს რაიონში დიდი მუშაობა ჩატარდა კულტურულ რევოლიუციის ფრონტზე და ასეთივეა მომავალშიც მოსალოდნელი, მაგრამ თუ განსახკომი და განნახპექტორი სწავლის დაწყებამდე არ შეუდგა ცხრიანა ნაკლებ ზოგიერთ მასწავლებლების გაფერთხვას, თუ დროზე ალაგმული არ იქნა არუნ ბოლქვაძისებური „გლეხთა გამოსაფხიზლებელი“, რიყეთის თემის მასწავლებლებისათვის საკმაოდ ცნობილი სასკოლო „აგიტაციები“, მაშინ საქმე ვოლაოდა დაბრკოლდება გოლაიდა...

ეხიკელეს კვიციენთ გადმოეშვა ავტომობილი ხულოს დალმართიდან და გლეიჯინ-გლეიჯინით შემოვიჭერი ბათომში, მაგრამ ზოვლი ჩამტვრეული კი ვიყავი.

ბათომი კაი ქალაქია, ყველაფერი რიგზეა, მაგრამ პოლიგანში ვერ არის ყველაფერი რიგზე.

—

წამომჯდარა, შენ ხარ ჩემი ბატონი, ვიღაც თეთრ ბლუზიანი კაძახი ბერაიას სკამზე და დაუფლეპია თვალები. ხელფასის მოცემას ვინ ჩიოდა, რომ ლანძღვით გარეთ არ გამოვედინე.

— დრო არ გვაქვს, ამხანაგო, გარეთ მიბრძანდით, გარეთ! — წამოილუფულა მან და პირგამშრალი გამომდენა გარეთ. ამოღო უჯრიდან ვიღაცას ნაჯღაბნი ლეკიები და დაიწყო კითხვა.

—

ᲘᲐᲜᲣᲠ.

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲗᲐᲜ

ᲡᲐᲭᲐᲛᲘᲡᲔᲠᲘ, ᲒᲣᲠᲘᲐ

ფ.-ტელ. გამგის ნებართვით ავიღე ტელეფონის მილი და დავურეკე საქამიასერს, მიუხედავათ იმისა, რომ დარუშინებული არ ვიყავი ღამის ორ საათზე. იქნებოდა თუ არა ვინმე ფოსტაში.

— საქამიასერი. საქამიასერია?

— ჰო, ვინ იძახის? ა? — მომესმა ხმა.

გამეხარდა.

— კოლია ხარ? კოლია, გამარჯობა, ბიჭო შენი.

ხმა მიწყდა.

ნუ მკოცნ ნუ მეხვევი, ეინმე დაგვინახავს ლამპის შუქზე! — მომესმა ტელეფონში. გამაცინა, ვიფიქრე: ხომ არ გაგიუდა ბიჭი-მეთქი.

— ჰა! საქამიასერი, რაება ჩაგიწყდა ხმა... კოლია, კოლია.

— ჰო, საქამიასერია, გიცანი, ბიჭო, საიდან მოხვედი ამქ?

— კოლია, როგორაა საქმე? გადახუხვის კამპანია ხომ ისევ ძველებურად არის? ხომ მუშაობენ კონდუქტორად გოგი, დათიკო და ნიკიფორი. შეჯიბრებაში ყოფთ გამოწვეული ერთმანეთი, თუ ვინ უფრო დიდ ხანს გაძლებს სასადილოში და ვინ მეტს დალევს?

რაო: დათიკო ფოსტიდან „გაანთავისუფლეს“ გადახუხვისათვის? გაანთავისუფლეს და ეხლა კოლ. სასადილოს გამგეა. მასაც ეს ერჩენია? თითო ბოსადილესთან თითო ჩაის ჭიქა ღვინოს სიამე?

— საჯეგანო, საჯეგანო, — ჩამესმა ყურში კონდუქტორის ხმა. გამომეღვიძა, საჯეგანოში ვიყავი.

მეორე დღეს ავედი საქამიასერში. გოგი, (ფარმაცევტი) ნიკიფორე (თემკ. მდივანი) და კოლია ფ.-ტელ.) სასადილოში ყირაზე გადადიოდენ. ზოგს პარტერების გახსნა გაეწყებოდა, ზოგს წამლის შეშზადება.

ორი „ბობალისე“ ერთიმეორეს „ძმურად“ კოცნიდენ.

ᲙᲘᲠᲘᲚᲔᲘᲡᲝᲜ.

პოლიტიკური ფიზკულტურა

სიმართლე უნდა ითქვას, რომ ფიზკულტურას იმპერიალისტურ ქვეყნებში დიდ ყურადღებას აქცევენ თავიდანვე.

ჩვენში ფიზკულტურის მიზანია—მასების ჯანმრთელობა.

იქ კი ფიზკულტურა უმთავრესად ემსახურება ბურჟუაზიის გართობას და, ზოგიერთ შემთხვევაში, მათი ჯიბეებას გასქელების საქმესაც.

უწინარეს ყოვლისა თვითონ იმპერიალისტები არიან საუკეთესო ფიზკულტურელები.

მათი პოლიტიკა და ურთიერთობა აგებულია ფიზკულტურის მკაცრ პრინციპებზე.

ყოველი იმპერიალისტი ამავე დროს დახელოვნებული ფიზკულტურელი უნდა იყოს, ფიზკულტურელი, რომელმაც უნდა იცოდეს ფიზკულტურის ყოველი დარგი: ხტომა ჯოხით. ცურვა, სარბილი, დისკოს სროლა, ტირი, ფუტბოლი, ბოქსი და სხვა.

თუ ჩვენ ღრმად ჩაუკვირდებით ფიზკულტურის ვარჯიშობის სხვადასხვა დარგს, დავინახავთ იმპერიალიზმის თანდათანობით განვითარებას.

აი, მაგალითად:

ხტომა ჯოხით—ასეთი ვარჯიშობაა: ერთი წერტილიდან მეორე წერტილზე გადახტომისათვის საჭიროა გრძელი ჯოხი, რომელიც აიყვანს მოვარჯიშეს თავის (ჯოხის) სიმაღლეზე და შემდეგ მეორე მხარეს გადასვამს. ეს ალბად გამოგონებულია იმპერიალისტებს მიერ ჯერ კიდევ მაშინ, როცა ნავოსნობა არ იყო. ამ საშუალებით შესაძლებელი ხდებოდა თავისი ტერიტორიიდან სხვის მიწა-წყალზე გადასკუპება. (ნახ. 2).

დისკოს სროლა—ეს ალბად იმ დროს, როცა იმპერიალიზმს არ გააჩნდა 42 დიუმიანი შორს მსროლელი ზარბაზანი. მაშინ ალბად არც თვითმფრინავები ჰქონდათ, რომ „ღვთის რისხვა და ზეცის წყალობა“ ყუმბარები ჩამოეყარათ დასაპყრობ ადგილებში. (ნახ. 4).

ცურვა—ჯერ-ჯერობით ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ვარჯიშობაა. ინგლისი დღემდე ყველას სჯობდა ცურვაში („ზღვის მეფედ“ ითვლებოდა). მაგრამ ომის შემდეგ ამერიკა არ ჩამოუვარდება მას. მათი კრეისერები თავიდან ფეხებამდე ზარბაზნებით შეიარაღებულნი, ერ-

თი-მეორეს ემუქრებიან და უპირებენ ერთმანეთს ოკეანეში ჩახრჩობას. (ალბად ახლო ხახმი მოხდება მათი „შეჯიბრი“ ცურვაში). კვარტებივით დასრიალობენ ოკეანეს უსაზღვრო სივრცეში და ანადგურებენ სხვის მიწა-წყალს. (ნახ. 5).

ტირი—სროლა ნიშანში, სროლაში გაწრთვნა. იმპერიალისტები ომისათვის ემზადებიან. მათ ორი მტერი ჰყავთ: ერთმანეთის მტრები არიან და ამავე დროს—მუშათა კლასისაც. ამერიკა, ინგლისი, საფრანგეთი, იტალია და სხვები უანგარიშოდ ხვრეტენ ახალშენების მკვიდრთ, რომლებიც მათთვის ტირის სანიშნოებს წარმოადგენენ.

— დახელოვნებული სროლა მათ წინააღმდეგ გვქონია ჩვენ. ბარემ-ლა მათზე ვივარჯიშოთ ის არ სჯობია?!— ამბობენ ისინი. (ნახ.3).

ფუტბოლი (ანუ ფეხბურთი) ურთიერთ შორის ჯიბრისთვის ეს ვარჯიშობა ყველაზე უფრო საინტერესოა. იმპერიალისტები ერთმანეთს ეცილებიან ჩვენ ა პლანეტის (დედამიწა) ხელში ჩასაგდებად. ერთმანეთს ხშირად უშვრებიან მოგვერდსა და კვანტს, რომ მეტირე დამარცხდეს (ნახ. 6).

ბოქსი—იმპერიალისტურ ქვეყნებში ყველაზე უფრო გავრცელებული და საყვარელი ვარჯიშობაა. მაგრამ ბოქსს უმთავრესი მნიშვნელობა ეძლევა პოლიტიკაში. ბოქსი ყველაზე უფრო ხმარებაში „სამშვიდობო“ კონფერენციაზე არის. უმეტესად ასე ხდება: ორი მოპირდაპირე (ამერიკა და ინგლისი, იტალია და საფრანგეთი) გამოდიან ერთმანეთის წინააღმდეგ და ერთმანეთს ცხვირპარს ამტვრევენ. მაყურებლები (სხვა ქვეყნის დელეგატები) ვერც კი ბედავენ რომელიმეს მიმართ გამოთქვან თავისი თანაგრძნობა—ეგი თუ მეტოქემ გაიმარჯვოს, მაშინ შავ დღეს დამაყენებსო. (ნახ. 6).

სირბილი—ამ ბოლო დროს იმპერიალისტები სირბილის ვარჯიშობას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ, რადგან მათ ხშირად უხდებათ გამოქცევა აჯანყებულ ახალშენებიდან. ჯერ-ჯერობით სირბილში პირველი ჯილდო ინგლისს ეკუთვნის. ეხლახან მიიღო ინდოეთში. (ნახ. 1)

ხი—ლი.

—პარტიაში არ მღებულობენ: კოფილი ვაჭარი ხარო!.. აკი ლენინი ამბობდა, რომ ვაჭრობა ყოველმა კომუნისტმა უნდა იცოდესო?!

ახალი „ინჟენერი“

სტუდენტთა საერთო საცხოვრებელის საპარიკმახეროდან ხმაურობა ისმოდა.

— შევარცხვინე შენისთანა მომაკალი ინჟენერი. რად არ გრცხვენია შე უნამუსო — 200 მანეთი გამომართვი კონტრაბანდას მოგინატო. ეხლა აღარც საბჭოთა ნაწარმოები მოგაქვს!—მაღალი ტონით ეუბნებოდა პარიკმახერი ვიღაცა ახალგაზრდა ხმელ ხმელ ვაჟს.

— შენამდი ვეღარ მოვაღწიე. გაიგეს თუ არა — ალექსანდრეს ბათომიდან კონტრაბანდა მოაქვსო, დამესია ნათესაობა და ხელიდან გამომგლეჯეს.

— მე ხომ გითხარი საეშმაკოს ნუ მოიტან, ჩვენებური იშოვეთქვა!

— ძველი ხელობა ვერ დავთმე. იმ დალოცვილს კარგი ზორბა მოგება აქვს და...

— მე რას მიპირებ ეხლა?

— ამ კვირაში კიდევ ჩამოვიტან. დამხვდი ვაგზალში.

— შენმა მზემ! გინდა ჩამაგდო ხლაფორთში. მაგისთვის თავს არ გაგილანძღავ. ჩემი ფული დამიბრუნე. ადგილობრივ საქონელს ვიყიდი; კონტრაბანდას არ ჩამოუვარდება.

— ფული, კაცო, გუშინ საღამოს 9 საათზე ტრამვაის ვაგონში ვიღაც უსინიდისო ჯიბგირმა ამომაცალა.

— ნუ მიჭარავ, ფული ჩქარა!

— არ გაძლევ, რას მიზამ თუ იცი? ძმა პროკურორი მყავს და შენისთანები რას დამაკლებენ! — სთქვა ახალგაზრდა ვაჟმა და კარები გაიჯახუნა.

— ვინ არის ეგ ყმაწვილი?—ვიკითხე მე.

— ალექსანდრე ძაძამაძე, ლენინის სახ. პოლიტეხნიკური ინსტიტუტის სტუდენტი, კონტრაბანდისტი; კულაკის შვილი.

— როგორ თუ სტუდენტი, განა ასეთი კაცი სტუდენტს მოწმობას კიდევ ატარებს?! ძირულელი თაღა.

პაპანრა ზოთხრობები

ჩვენი სოფლის რაინდი

თუ თქვენ გავლა მოგიხდათ სოფ. ბუკის-ციხეში (ოზურგეთის მაზრა), აუცილებლად გაიგონებთ სიმღერას:

ვისაც რა უნდა ისა სთქვას,
სულ სხვაა ჩემი ტრფიალი.
მიყვარს ჩხუბი და მუშტების
წაღმა-უკუღმა ტრიალი.

იცნობდეთ! ეს გახლავთ არტემ (არტიმონ) ჩხიკვაძე. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ადგილობრივ კედლებს ამშვენებდა ასეთი განცხადება:

ეკრძალება გლეხკომში შესვლა
არტემ ჩხიკვაძეს
საბჭოს პრეზიდიუმი.

ვინ მოსთვლის გლეხკომში არტემის მიერ ჩხუბისა და სიმთვრალის დროს რამდენი თეფში, ჭიქა, ბოთლი და, კიდევ მეტი, თავი გატეხილა?

კოლექტივიზაციის წინააღმდეგ არ გაულაშქრებია არტემს, რადგან „მე ჭკვიანი ვარ, რაც ვიშოვე, შევჭამე და ეხლა სხვის ნამუშევარს გავიზიარებო“.

მაგრამ კოლექტივში ვის უნდა მუქთა-ხორა!

აი, ასეთი რაინდია არტემი, — და, თქვენ როგორ გგონიათ, — სად უნდა იყოს ეხლა არტემი?

— გამსახლშიო! — იფიქრებს ბევრი.

— არა, არტემ უკანასკნელ არჩევნების დროს გლეხკომის გამგეობაში აირჩიეს.

— ორაგული ტბაში გადააგდესო! — ნათქვამია.

არტემზე ასრულდა ეს თქმულება.

გ ა მ ო ს ა რ ჩ ე ნ ი

ძირულა.

ხალხი ბაქანზე გამოსულა და იცქირებიან შორაპანისაკენ, საიდანაც მატარებელს ელოდებიან.

— კაი შემოსავალი კი ექნება ამ სადგურის მოლარეს! — ამბობს ერთი.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ხურდას არავის აძლევს ბილეთის ყიდვის დროს! — ჩაერია ლაპარაკში მეორე.

— ჭალო, ხედავ არავისთვის არ მიუცია ხურდა. სამსახური მაქვსო, ამას ჰქვია სწორედ. შევხედოთ რა კაცია!—და ორივენი წავიდენ სალაროსაკენ.

სალაროს ხალხი ესეოდა და ვიწრო ფანჯრიდან არ მოსჩანდა მოლარე.

—თუ უცოლოა, ჩემს ნინოს მივათხოვ რითაც არ უნდა დამიჯდეს. ჯამაგირი, მართალია, ცოტა ექნება, მაგრამ ჯამაგირზე უკეთესი არ არის ამდენი გამოსარჩენი! — სთქვა ერთმა.

—

— მარა თუ ქალია, „ქალო? შეეკითხა მეორე.

— მაშინ ცოლად შერთე შენს ვაჟს! ამაზე უკეთეს რძალს სად იშოვი. ხომ ხედავ რამდენი გამოსარჩენი ჰქონია.

მატარებელმა სემაფორს მოაკივლა.

— ხურდა მომეცი კაცო, აბაზი დარჩა შენზე!

— არა მაქვს ხურდა! — იყო აურ-ზაური სალაროსთან.

მატარებელი წავიდა. მოლარე შეუდგა „ხურდების“ გვერდზე გადადებას.

მოდი—ნახე!

შროშის თემის „შადრევანი“

ს. შროშის (ქუთ. ოლ.) მასწავლებ. გიორგი სამხარაძემ გლეხებს მოაკრეფია ტყე (მუხნარი) ვენახის სასარეთ. მასწავლებელ №-ის შენიშვნაზე, რომ ტყის მოკრა გამოიწვევს წყაროს დაშრობას და გლეხები უწყლოდ დარჩებიან, სამხარაძემ მუქარით უპასუხა.

რი—მე.

ჩვენ საჭიროდ არ ვსცანით რი-მესგან მოწოდებულ მასალის ცალკე წერილად დასტამბვა და აი რატომ: რი-მე ბრალს სდებს მასწავლებელ სამხარაძეს მასში, რომ უკანასკნელს მიერ ტყის გაჩეხვით სოფელ შროშას წყარო დაუშრება და გლეხობა უწყლოდ დარჩება. როგორ დავიჯეროთ, რომ რი-მეს წერილი არ არის ცალმხრივი მსჯელობა? ან ვინ იცის რა საბუთს წარმოგვიდგენს მისი წერილის დასტამბვის შემდეგ თვით ბრალდებული სამხარაძე? სამხარაძე, როგორც რი-მეს წერილიდან სჩანს, პედაგოგი კაცია და ის „ტარტაროზში“ გაწერის და ასეთ „საგმირო“ საქმით სახელის მოხვეჭის მიზნით არ ჩაიდენს ჰეროსტრატეს მსგავს ხეპრულ საშინელებას,—არ გადადგამს ისეთ ნაბიჯს, რომ შროშის გლეხობა უწყლოდ დასტოვოს, და თუ რი-მეს ცნობა მართალი აღმოჩნდება, ჩვენ სამხარაძეს მაინც ვერ გავამტყუნებთ ასე ხელ აღებით, რადგანაც თუ პატივცემული აედაგოგი წყალს (წყაროს) აშრობდა, მაშინ სამხარაძეს ალბად თავში აქვს ჩამდგარი წყლის საკმაო მარაგი, რომელიც წყაროს დაშორებისთანავე ეიფელის შადრევანივით გადმოსჩქეფს შროშის მიდამოებს და რიონყვირილასთან ერთად ქაფ-ქაფა ტალღებათ გადაეცვლება თავზე შავი ზღვის აზვირთებულ სტიქიონს

„ფიცი—მტკიცი“

ქუთაის ა ადგილობრივი მეურნეობის ინვენტ. მამახალლისოვს ზედმეტად მიაჩნია საწარმოო გეგმის გაცნობა საგმირობის მიერ.

ოც. შეჯიბრ.“

— რა გეგმა რის გეგმა!... საქმემ მემოგელიათ?!... ღმერთი, რჯული გეგმამ თქვენთვის კი არა, ჩემთვის არა მაქვს დაჯა!

„კარკალ გულში“

ჩვენმა ბორჯომელმა კორესპონდენტმა „კირკიტამ“ ხელთ იგდო და გადმოუგზავნა „ტარტაროზის“ რედაქციას „ღია წერილი“, რომელიც ვინმე ედუკი კვილაძეს გაუგზავნია თბილისიდან, წაღვერში მყოფ ილიკო ცუცქირიძისათვის.

აი შინაარსი:

გამარჯობა ბიჭო, ილიკო!

როგორ ხარ? რატომ არ იწერები წერილს შე კინტო, გაოხრებულო, გაფუჭებულო და გათახსირებულო?

მომწერე როგორ ატარებ დროს! რომ არ მეშვებოდი, გავჩარხე შენი საქმე: გავყიდე ნახევარზე მეტი შენი ობლიგაციები. დანარჩენსაც მალე გავყიდი და ფულს ერთად გადმოგიგზავნი.

მომიკითხე ზალიკო და „გერმოშკა“ (ესე იგი ვერმოგენი).

შენი ედუკი.

ყველაზე უფრო ობლიგაციების გასაღებაში „გასპეციალებულ“ ედუკის მიმართვაში ჩვენ მოგვეწონა შესაფერად და თავის ადგილზე. **ნახჩარი ეპიტეტები: შე კინტო, გაფუჭებულო და გათახსირებულო“.**

ყოჩაღ ედუკი!

გაოდნია კაცის შეფასება! — პირდაპირ სულსა და გულში ჩაძრომილხარ რაღა!

ორი „ბატკანი“

ფყალსადენის სამმართველოს მოანგარიშე სიმონ აბულაძე მოხსნილია თანამდებობიდან, როგორც ყოფილი ბოქაული და სუსტი მუშაკი.

„მ“.

მაგიდასთან მოწყენილაო.—
ცხვირმოწვებულ-მოკაული,—
ზის სიმონა, აბულაძე—
ნიკოლოზის ბოქაული.
ადგილიდან „გაჩისტეს“ და
აუტეხეს თავის ფხანა.
თვლემს და ძილში ეჩვენება
ნიკოს ტახტი, ნიკოს ხანა.

აპარატის გამაშენდმა კომისიამ სამსახურიდან მოხსნა კანტრალიორი გიორგი ფალავანდიშვილი, როგორც კედიას თანაკუთრებული რაზმის ყოფილი თანამშრომელი და სიყალბის ჩამდენი.

„მუშა“.

იცნობდით! გახლავთ ყოფილი.—
კედიას თანამშრომელი,
მუშებს და გლეხებს მათრახით
ზურგებს უწვავდა რომელი.
ახლაც იშკილებს აწყობდა,
„ქაფვაში“ ყველას აჯობა,
გუდა-ნაბადი აუკრეს,
არ შეარჩინეს კვაჭობა.

კუს ტემპი

ყოველივე მოსალოდნელ უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად, აქვე ვაცხადებთ, რომ ჩვენ არავისი შეურაცყოფა არა გვაქვს მიზნად დასახული. პირიქით — შეურაცყოფიდან დაცვაა ჩვენი მიზანი.

ამის შემდეგ ნება გვიბოძეთ მოვიყვანოთ სიტყვა-სიტყვით ამონაწერი გაზ. „მუშა“-დან:

წერილი რედაქ. მიმართ;

გთხოვთ მოგვცეთ უფლება თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გამოუცხადოთ ამხ. ვალიკო დოლიძეს, რომელიც **1921 წლიდან** დღემდე უსასყიდლოდ და **ენერგიულად** მუშაობს მათხოჯის სახალხო სახლის საალმშენებლო საქმის ტფილისის დამხმარე კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე.

სახალხო სახლის საალმშ. საბჭოს მოდობილობით: **ვ. ძიძიგური.**

რატომლაც ჩვენ ამ წერილში მადლობის მაგიერ შეურაცყოფა დავინახეთ.

და აი რატომ:

მუშაობა მათხოჯის სახალხო სახლის ასაგებად დაწყებულა ათი წლის წინედ (1921 წელში). მიუხედავად ასეთი დიდი დროისა, სახლი ჯერაც დაუმთავრებელია. ჩვენ ვერ მიეხვდით, თუ რაში გამოიხატება „ენერგიულად“ მუშაობა! აღმშენებლობის დღევანდელ ტემპთან, მათხოჯის ტემპი კუს ტემპათაც არ ჩაითვლება.

დღეს ჯიბრია ვადამდე სამუშაოების **დასრულებისთვის**; აქ კი პირიქით ხდება.

ათ წელიწადს თუ ჩვენ ერთი სახლი ვაშენეთ,—კაპიტალისტურ ქვეყნებს დავეწევით და გაუსწრებთ კი არა,—აფრიკასაც ჩამოვრჩებით.

—:—

„სახაზინო ბეჭედი“

საზოგადოთ გაზეთებში განცხადებებს მეოთხე გვერდზე არ ვკითხულობ. თურმე სიცილი და სეირი იქ არის. აი, მაგალითად, წაიკითხეთ „კომუნისტი“-ს № 142-ში 21 ივნისის თარიღით მეოთხე გვერდზე განცხადება:

> ერმალო ივანესძე ორმოცაძის
> **სახელზე** ნიგოეთის თემ-აღმასკომის
> **მიერ** გაცემული **სილარიბის** მოწმობა **№ 886** (ა. წ. **18** ივნისიდ თარიღით)
> **ჩაითვალოს** გაუქმებულად.
> თავმჯდომარე **ფ. კუნჭულია.**

18 ივნისიდან 21 ივნისამდე სამი დღეა. მაშასადამე, ამ სამ დღეში „ღარიბი“ ორმოცაძე გაკულაკებული, ანდა არა-ღარიბ (ე. ი. კულაკი) ორმოცაძესათვის აღმასკომს „სილარიბის მოწმობა მიუცია.

ეჰხ! ვინ დათვლის—რამდენი ასეთი „სილარიბის“ არის გაცემული ჩვენი თემაღმასკომის მიერ კულაკებზე, რომლებიც და რომელთა შვილები ფულს სტყუებენ სახელმწიფოს.

ამხ. აღმასკომის თავმჯდომარეებო! თუ სახაზინო ბეჭედი არ გენანებათ და წარა-მარა ყველაფერზე ასვამთ, თქვენი „საკუთარი ხელმოწერა“ მაინც შეიბრალეთ!

არ ვარჯიშობს ფიზკულტურით **ვარჯიშობს.**

„თვითკრიტიკა“

აქვე მოთავსებული ხელნაწერის ტექსტი ასეთია, (დაცულია ავტორის მართლწერა):



ფუშას და ტარტაროზის რეჟატორს

გთხოვთ მიიღოთ ცნობად.

კულაშის აგრო ტეხნიკუმში **გამგესა, მასწავლებლებსა** და **მოწაფეებს შორის** არსებობს **კონფლიქტი.** სპეციალური კომისია იკვლევს ამ საქმეს. ამიტომ შესაძლებელია ვინმემ თქვენი რედაქციები ყალბი კორესპონდენციით შეცდომაში შეიყვანოს ასეთის თავიდან **ასაცილებლად** გთხოვთ **კომისიის** დასკვნის პრესაში გამოცხადებამდე ჩვენი ტეხნიკუმის ცხოვრებიდან ნუ დაბეჭდავთ რაიმეს.

ამხანაგების მონდობილობით (ხელმოწერა გაურკვეველია).

ალბად ამ წერილის დედანი თუ ასლი სხვა რედაქციებსაც გაუგზავნეს.

აი, ასე ესმით ზოგიერთებს (და, სამწუხაროთ, ამ შემთხვევაში კულაშის აგრო-ტეხნიკუმის მასწავლებლებს, რომელთა **მინდობილობით** ავტორი გვიგზავნის ხელნებულ წერილს) თვითკრიტიკა და პრესის დანიშნულება.

თუმცა ამბავი „უმნიშვნელოა“: **„გამგესა, მასწავლებლებსა და მოწაფეებს შორის არსებობს კონფლიქტი“.** აი ამას ჰქვია რომ იტყვიან: „ძაღლი პატრონს ვეღარა სცნობსო“, (ჩვენ ძაღლად ამ შემთხვევაში არავის არ ვნათლავთ). ანდა რომ იტყვიან: „აირია მონასტერიო“. (არც ბერობას ვსწამებთ პატივცემულ კულაშის აგრო-ტეხნიკუმის მასწავლებლებს). მხოლოდ საჭიროა იცოდენ: პრესა არ არის მხოლოდ კომისიის დასკვნის გამომქვეყნებელი ორგანო, არამედ ის არის მთავარი იარაღი ნაკლულოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ზმუკი.

სენსაციური ამბავი

ოთახის კარები რომ გამოაღო და ქუჩაში გამოვიდა თითქოს იქაურობა მოიწამლა. წარბები შეიკმუხნა. მრისხანე სახე მრიღო; ცოტა ხანს იყო გაჩერებული და თითქოს ორმად ჩაფიქრებულათ მიწას ჩაჰყურებდა. შემდეგ გრძელ შეჭალარავებულ წვერზე ხელი ჩამოისვა, თითქოს ამოიხვნეშა და ნელა გაუდგა გზას. მიდიოდა ნელა, ჩაფიქრებული. სიარულის დროს მის დაღარულ სახეზე ერთხელაც არ გაუთამაშია ღიმილს. სულ მუდამ წარბ შეკრული იყო. ერთის შეხედვით ასე ეგონებოდა კაცს რაღაც დიდს საიდუმლო საქვეყნო საქმეს აკეთებსო. რას აკეთებდა ეს არავინ იცოდა. გაბრიელ ბრახუნაძე მუდამ დღე ერთ და იმავე საათზე გამოდიოდა სახლიდან, ათიდან თერთმეტ საათამდე. ბრუნდებოდა 4 საათზე. ნელა ჰპყვა პლეხანოვის პროსპექტს, აიარა ელბაქიძის აღმართი და ყოფილ ზემელის აფთიაქთან გაჩერდა, პირი მიიბრუნა და გაიხედა თავისუფლად მონაბერმა სიომ შუბლი გაუგრილა, თვალს ესაამოვნა ახლად გაკეთებული ფართე ქუჩის დანახვა. მაგრამ იმდენად მოხაშმულ-მოწამლული იყო, რომ ფრიად კარგი საქმე იყო გაკეთებული და ბევრი სხვა ასეთი საქმეები კეთდებოდა. ამის მიზეზი იყო ის, რომ კომუნისტები ჭირივით ეჯავრებოდა, ვერ მოენელებია, ორგანიულად, რა იყო ამის მიზეზი თვითონაც არ იცოდა, რომ გეკითხათ პასუხს ვერ მოგცემდათ. ეჯავრებოდა თვალის დასანახავად; მორჩა და გათავდა, გაბრიელი ოდესღაც საქმის კაცი იყო, ეხლა კი სრულიად არაფერს აკეთებდა. მისი ერთად-ერთი გასართობი იყო რუსთაველის პროსპექტზე გავლა და ჭორების შეკრება. გაბლიელს ჰყავდა თავის პარტია: ყოფილი თავადი, ყოფილი ვაჭარი, ყოფილი მღვდელი და ინტელიგენტი. ამათ ყოველ ხის ძირში, ყოველ კუთხეში დაინახავდით ჩუმად მოსაუბრეთ. იფხანდენ გულს, იტკბობდენ სულს სხვადასხვა ჭორებით. ამათში გაბრიელს დიდი ავტორიტეტი ჰქონდა მოპოებული. მისი ჭორი ნაღდ ადგილზე საღდებოდა. ჭორებს ზოგს თვითონ სთზავდენ და ზოგს სხვისგან განაგონს ასაღებდენ. გაბრიელ თავი მობეზრებული ჰქონდა მათგან, დაინახავდენ თუ არა შემოეხვეოდენ და იცოდა რამე თუ არა მაინც უნდა ეთქვა.

გაბრიელი გაჰყვა რუსთაველის პროსპექტს და ცოტა მანძილი გაიარა, რომ წინ შემოეგება ერთი მისი პარტიისგანი, ხელები მოხვია და უთხრა.—გაბრიელ სახეზე გატყობ დიდი რამე ამბავი უნდა იცოდე. მითხარი შენი ჭირიმე.

გაბრიელი თითქოს გაჯავრდა. კოპები შეიკრა.

— კაცო იჯარით ხომ არ ამიღია ახალი ამბები? ერთხელ თქვენცა თქვით რამე. ძალიან საინტერესო ამბავი ვიცი, მაგრამ არ გეტყვით.— სთქვა გაბრიელმა და გასწია წინ. ამხანაგი ფეხ და ფეხ მისდევდა. ცოტა ხნის შემდეგ დანარჩენებიც შეუერთდენ და გაბრიელს გზა შეუკრეს. ემუდარებოდენ ეთქვა რამე. გაბრიელს ნერვიულობა დაეტყო. სახეზე ცბიერმა ღიმილმა გაუთამაშა. რაკი აღარ მოეშვენ, გაჩერდა:—ისეთი სენსაციური ამბავი ვიცი, ისეთი რომ ჯერ გაუგონარი, მაგრამ არ გეტყვით—ღიმილით წარმოთქვა გაბრიელმა.

— გვითხარი, გვითხარი შენი ჭირიმე ერთხმად შებღავლა ჩაგრულმა ხალხმა.

— მოგახსენებთ ნამდვილ ამბავს, ეს სრული ჭეშმარიტებაა. მოვიდა მაგათი აღსასრული, კომუნისტების სინსილა გაწყდება, აღარ დარჩება არც ბავშვი, არც ქალი, არც მოხუცი არც ახალგაზრდა, ერთი სიტყვით ვინც დღეს ცოცხალია ყველანი დაიხოცებიან და ქვეყანა განთავისუფლდება.

— როდის? — ერთხმად შებღავლა ხალხმა და იმედით აღსავსე თვალები გაბრიელს მიაპყრეს.

— ორასი წლის შემდეგ!

— ?!!!!!

კიკოლა.

15 კ.+10 კ.—50 კ.

მშვენიერი სადამოა.

პატმანი მაქვს დანიშნული, მაგრამ წვერგაუპარსავი სად წავიდე!

ნამდვილ ეშმაკს ვგავარ.

მივდივარ სადგურის ქუჩაზე.

„№ 20 კოოლტივის საპარიკმახერო პროლეტარი"

— ნამდვილი საჩემოა!—გავიფიქრე და კარებზე გამოკრული ფასები ავათვალიერე.

„გაკრეჭა—15 კაპ. მოპარსვა—10 კაპ."

სულ ხუთი შაური. მაშასადამე ჩემს ათ შაურიდან ხუთი შაური კიდევ დამრჩება, კარგი საქმეა.

შევედი.

გავიპარსე.

ხურდის უქონლობის გამო, მივეცი ორი თითო აბაზიანი. ველოდები ხურდის მიღებას.

— მეგობარო, ამას ორი შაური კიდევ უნდა.

— დამცეცხლა, მაგრამ რას ვიზამდი, მივეცი უკანასკნელი ორი შაურიც.

გამოვედი სუფთათ.

გამოსვლისთანავე შეყვარებული შემხვდა. ვინაიდან კინოში წასასვლელი ფული არ მქონდა, მე მუცლის ტკივილი მოვიმიზეზე და საჩქაროთ სახლისკენ გზას გავუდექი.

მივეგდე ლოგინზე და უცბად ასეთი მუზა მომეფიდა.

ჩემო პირის მომპარსველო,
შენ დაგეწვას დუქანი,
გარედ ფასი მჭლე სწერია,
შიგ რათა გაქვს მსუქანი?!

სატრფომ კი მოტყუებისათვის სხვა შეიყვარა ეიღაც.

ხუნწელი.

ქმარი:—კარგი! რა ამბავია, რომ შემიბოლე? ორთქლმავალი ხომ არა ხარ!?

ცოლი:—ჰმ! შენ რა კაცი ხარ, პაპიროსს არ ეწევი!?

წარსულიდან. „და მათ წაიღეს ხატები უფლისა ღვთისა მათისა... ...ამაოსა ზედა.“

წმენდაზე

საჭილაოს ქარხანა

— თქვენი გვარი?
— ნინუა.
— სახელი?
— მელიტონ...
— თანამდებობა?
— კანტორის გამგე.
— წინად რად მსახურობდი...
— პრისტავად ვიყავი.
— „სასახელო საქმეები“ გექნება იადენილი.
— გიყვარდეს: გლეხების როზგვა და შევიწროება.
— წმენდის არ გეშინიათ?
— სრულებითაც არა, მფარველები ბევრი მყავს. თუ გაწყრა ღმერთი, უკეთესს ადგილს ვიშოვი.
— ჰმმ... კარგი.

2

— თქვენი გვარი და სახელი?
— გოგიბერიძე იოსები.
— თანამდებობა?
— ელ-მწყობი...
— თქვენ გახასიათებენ, როგორც ხელობის არ მცოდნეს...
— მაგათი დედაც... მაშ ვინ წასწია წინ წარმოება, თუ არა მე? კი, მართალია, ტელეფონი ვერ გამყავს კანტორიდან საწყობამდე, მაგრამ სამაგიეროთ სინათლე ხომ კარგათ გამყავს კერძო ვაჭრებთან?!
— აღებული ფული სად მიგაქვთ?
— სად უნდა წავიღო? ჯიბე არა მაქვს თუ?!
— ამბობენ, რომ ყოველ წამს თვრები, სამსახურში მთვრალი მოდის და ეძინავსო.
— ერთი მაგათი... რომელ ყოველ წამზე ლაპარაკობენ, დილით რომ დათვრები, მერმე საღამომდე მთვრალი ვარ. დამეძინება მა რა მომივა...
— მოტორების გადაწვისას რას იტყვი?
— დამეძინა ერთი ორჯერ და გადიწვა ის ტიალი...
— კომუჯრედის მდივანს რას ერჩოდი, რომ კეტი დაგირტყამს?
— ერთი მაგისი... სხვაც ბევრი იყო მდივნები, მარა მე არხეინად ვიყავ. ეს შემომიჩნდა და წაიღო ძალა რაღა მინდოდა ამებარგა აქედან...
— ჰმმ... კარგი.

3

— გვარი, სახელი?
— სამსონოვი ალექსანდრე.
— თანამდებობა?
— მეხანძრეთა რაზმის უფროსი.
— წინედ რად მსახურობდით? ყანდარში ხომ არ ყოფილხართ?
— მგონია კი.
— ღიახ მთლად ყანდარმს მაგონებს თქვენი სახე, თქვენ გახასიათებენ, როგორც პროფესიონალურ ლოთს; სისტემატიურად აწიოკებს ოჯახსო.
— რა ვუყოთ, მიყვარს ღვინო და არაყი... ვერ დავთმობ.
— ჰმმ... კარგი.

ბრაგუნა.

ჯუმათი

ამ ჩვენ საწყალ გლეხკომში
ვაჭარი ზის ცნობილი,
(ალბად ვინმე „დიდ კაცის“
იგი არის ძმობილი).
არსენაა დარჩია
განთქმულია ოხრობით,
ბიჭმა სახლი აიკმო
მოხერხებულ ნოქრობით.
აბა, პასუხს ვინ მოსთხოვს,
ან ვინ დასჯისამაზე.
რევიზია არა სჩანს,
რომ მოასწრო ქამაზე.
სუმე გმირო გლეხკომი
გაატარე დროება,
თუ ამ ქეიფს ბოლოში
გამსახლი არ მოება.
ქამე, ვამგეს გლეხკომის
ჯერ არ გაუღვიძია.
მაგრამ ბოლოს მოგცხებენ,
არ შეგრჩება ბიძია. **კორტი.**

ნაადრევი სიხარული

რადიომ დაიწყო ცნობების გადაცემა ზოგიერთ ბიუროკრატებისა და მაგნე ელემენტების შესახებ.



— ჰაااა! ძალიან სასიამოვნოა! როგორ ცუდათ ახასიათებენ ყარამანს, ბიუროკრატიო, ზარმაციო... რა კარგია რადიო?—მშვენიერია!

— სსსს! რაო?! ჩემზე ამბობენ! გაუსწორებელი ბიუროკრატი, ინტრიგანი, ანტი-საბჭოთა ელემენტი... (რადიოს) შენს მომგონს რა ვუთხრა მე!

სცენა აღმასკომში (სამტრედია)

გლეხი (რეგისტრატორს).—მომეცი შენ გენაცვალე, ბაღანეს მეტრიჩესკი. დილაა აქეთ აქანე ვდგევარ და ოგერ ორი საათი სრულდება.

რეგისტრატორი (კოპალეიშვილი): —ჰა, დავთარი და შენ თითონ მონახე. (გლეხი ეძებს, ვერაფერი გაიგო). მარო რავა ხარ ქეიფში? წუხელი ძაან დრო ატარეთ, არა?

მარო:—იკოკხლე იქანა ფრონტ-ფრონტ ქალები იყო, გვაკლდი მხოლოდ შენ.

გლეხი:—მე ვერაფერი ვნახე აქანე, ბიძი, და თუ მინახავ კაი იქნება.

რეგისტრ.—მე არ მცალია, ხვალ მოდი და მონახე... მარო, ძაან დრო ატარეთ არა!

გლეხი. (მიმართავს იქვე მომუშავე ქალს);—ბიძიკო შენ მაინც მომინახე იგი ქალალდი...

ქალი:—რომელი ქალალდი? სად მცალია მაგისთვის... წკრრრ.... საიდან? ვიიინ? ჟორა? რად დამატყვილე წუხელის? მე დაგატყვილე თუ შენ? ახ ტი! ანიჩქა, გთხოვენ ტელეფონთან...

ანიჩქა:—ზრასტი, მიშა, გენაცვალე იქეიფე წუხელის? გრიშა იყო? კაი? მარო, გესმით გრიშა ყოფილა. კარგი დრო ატარეთ? სული თქვენსკენ მქონდა, მარა ვერ წამოვედი. მიშა გივზავნი „ვოზდუშნი პოცელოუის“ და გრიშასაც უნაწილე.

გლეხი:—ჩიმო ბიძიე, მომინახე იგი ჩემი ქალალდი და ჩემი ზურგით წოუღიბ მაგ „ვაზდუჩნი პაცელუია“ თუ რაცხა. (ყველანი იცინიან).

რეგისტრ.—რა გინდა, პაპაშა შენ?

გლეხი:—რავა რა მინდა, შე კაი ქალო, დილას აქეთია გეჩიჩინები და ვერ გეიგე?

რეგისტრ.—რომელშია დაბადებული?

გლეხი:—ექვსში...

რეგისტრ.—დეზერტირი ყოფილა...

გლეხი:—დეზერტირი კი არა, ტფილისში აწავლობს.

რეგისტრ.—მაშ ხვალ მოდი, დღეს არ მცალია... წკრრ...

ლიპა:—ა... საიდან? საჯავახო? ნომრები მოვნახოთ? რა მენომრება! საქმე ხვარ დაგიოიათ...

თედორე:—იმუშავეთ, ამხანაგებო, ტ[illegible]ლა ნუ ცდებით!

რეგისტრ.—ეს თქვენი საქმე არ არის. ეხლა მუშაობა გათავებულია.

გლეხი:—იმდენი რა გითხრა თქვენ რამეს მოუშაობდეთ და რამეს აკეთებდეთ! [illegible]ავუნა.

„ტარტაროზი“-ს სპეციალური რკინის გზის ნომერი გამოვა 27 ივლისს
თანამშრომლებს ვსთხოვთ მოგვაწოდონ მასალები

მსოფლიო რევოლიუციის ხანძრის
ცეცხლის მქრობელთა რაზმი

Библиотека-Музей имени Акад. И. Гришашвили Академия наук ГССР

— რამდენ წყალს ვასხამთ, მაგრამ ჩაქრობა მაინც არ იქნა, უფრო ძლიერდება.

რედ.: სარედაქციო კოლეგია, გაზ. „მუშას" გამოცემა, მთავლ. № 1319

გაზეთების გამომცემლობათა სტამბა „კოლექტივი", ქამოს ქუჩა № 68